

შპს ვებერი ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. სავაჭრო მოთხოვნები	11
6. ძირითადი საშუალებები	11
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
8. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	13
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ექვივალენტები	4	470,475	417,903	933,532
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,048,482	1,015,655	1,018,427
სხვა მიმდინარე აქტივები		9,995	9,976	7,763
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,528,952	1,443,534	1,959,722
ძირითადი საშუალებები	6	175,742	229,524	43,512
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,540	5,647	754
სულ გრძელვადიანი აქტივები		181,282	235,171	44,266
სულ აქტივები		1,710,234	1,678,705	2,003,988
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		63,984	27,806	26,535
სავაჭრო ვალდებულებები	7	466,839	473,404	370,571
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		19,244	-	17,516
საგადასახადო ვალდებულებები		38,406	62,346	47,988
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	90	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		588,473	563,646	462,611
სულ ვალდებულებები		588,473	563,646	462,611
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100,150	100,150	100,150
გაუნაწილებელი მოგება		1,021,611	1,014,909	1,441,227
სულ საკუთარი კაპიტალი		1,121,761	1,115,059	1,541,377
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,710,234	1,678,705	2,003,988

დირექტორი



ნიკა გაბუნია



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	3,983,403	1,428,896
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(3,085,047)	(399,036)
საერთო მოგება		898,356	1,029,860
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(77,775)	(154,478)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(446,604)	(744,147)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(59,117)	(35,503)
მოგება საკურსო სხვაობიდან		32,324	4,020
საოპერაციო მოგება		347,184	99,752
საპროცენტო შემოსავალი		8,204	33,830
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		9,806	(9,900)
მოგება დაბეგვრამდე		365,194	123,682
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		365,194	123,682

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	100,150	1,441,227	1,541,377
წმინდა მოგება	-	123,682	123,682
გაცემული დივიდენდი	-	(550,000)	(550,000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	100,150	1,014,909	1,115,059
წმინდა მოგება	-	365,194	365,194
გაცემული დივიდენდი	-	(358,492)	(358,492)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	100,150	1,021,611	1,121,761

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობა	31-12-20	31-12-19
წმინდა მოგება	365,194	123,682
კორექტირებები:		
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(76,235)	(34,904)
საპროცენტო შემოსავალი	(8,204)	(33,830)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	59,117	35,503
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	(32,827)	2,772
ცვლილება მარაგებში	(19)	(2,213)
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში	107	(4,893)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	36,178	1,271
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	(6,565)	102,833
ცვლილება თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებებში	19,244	(17,516)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(23,940)	14,358
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(90)	89
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	331,960	187,152
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენა	(5,335)	(221,515)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	8,204	33,830
გაცემული დივიდენდი	(358,492)	(550,000)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(355,623)	(737,685)
ფინანსური საქმიანობა		
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
საკურსო სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტებზე	76,235	34,904
ფული და ფულის ექვივალენტების ნაზრდი	52,572	(515,629)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	417,903	933,532
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	470,475	417,903

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვებერი დაფუძნდა 2014 წელს. კომპანიის სათავო ოფისის მისამართია: თბილისი, ნინო რამიშვილის ქ.#31. იურიდიული მისამართია: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პ. იაშვილის ქ. #8ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404464085. კომპანიის მეწილეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ნიკა გაბუნია (პ/ნ: 01008045857) - 26.00%

მერაბ გოცირიძე (პ/ნ: 01017038319) - 26.00%

ნანა ხათრიძე (პ/ნ: 01002027457) - 15.00%

დავით ხარიტონაშვილი (პ/ნ: 01005028590) - 33.00%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ტიპის ინტერნეტ-მარკეტინგული მომსახურების გაწევა კლიენტებისთვის. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი ნიკა გაბუნია (პ/ნ: 01008045857) და დირექტორი მერაბ გოცირიძე (პ/ნ: 01017038319), რომლებიც ასევე არიან კომპანიის 26% და 26% წილის მფლობელი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

COVID-19-ით გამოწვეულ ფინანსურ კრიზისს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ შედეგებზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, 2020 წელს კომპანიამ მოახდინა საწყისი ნაშთების გადაკლასიფიცირება. მატერიალური ცვლილება შეეხო ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაციას. სხვა მუხლებში მატერიალური ცვლილება არ მომხდარა. კერძოდ 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშგების მიხედვით, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო ცალკე სხვა გრძელვადიანი აქტივების კატეგორიაში. მიმდინარე წელს მოხდა აღნიშნული ანგარიშის შეტანა ძირითად საშუალებებში. არცერთ კლასიფიკაციის ცვლილებას, რომელიც კომპანიამ საწყის ნაშთებში ასახა, არ მოუხდენია გავლენა კომპანიის 2019 და 2018 წლების ბოლოს არსებულ კაპიტალის ნაშთზე. კაპიტალის ნაშთი დარჩა უცვლელი, კერძოდ 2019 წლის ბოლოს 1,115,059 ლარი და 2018 წლის ბოლოს 1,541,377. კლასიფიკაციის ცვლილება შეეხოთ ანგარიშგების სხვა მუხლებს და ცვლილების მიზანი იყო ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის, მათ შორის კომპანიის მფლობელებისა და მენეჯმენტისთვის, ინფორმაციის უფრო აღქმადი სახით მიწოდება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიათი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა,

ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	317,243	321,612
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	153,232	96,291
სულ	470,475	417,903

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში კომპანიას გააჩნდა დაახლოებით 120 დებიტორი 2020 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები სარეკლამო საქმიანობიდან	981,835	971,408
სხვა მოთხოვნები	66,647	44,247
სულ	1,048,482	1,015,655

6. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	77,691	1,900	79,591
ავეჯი და სხვა ინვენტარი	31,737	3,435	35,172
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	203,797	-	203,797
სულ	313,225	5,335	318,560

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	(47,589)	(13,484)	(61,073)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	(19,129)	(8,162)	(27,291)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(16,983)	(37,471)	(54,454)
სულ	(83,701)	(59,117)	(142,818)

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	60,071	17,620	77,691
ავეჯი და სხვა ინვენტარი	16,087	15,650	31,737
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15,552	188,245	203,797
სულ	91,710	221,515	313,225

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	(33,615)	(13,974)	(47,589)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	(14,583)	(4,546)	(19,129)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	(16,983)	(16,983)
სულ	(48,198)	(35,503)	(83,701)

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიას სავაჭრო ვალდებულებები წარმოეშვა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ. არარეზიდენტი იურიდიული პირების მიმართ დავალიანებამ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 269,913 ლარი ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 448,318 ლარი.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა 2020 წელს განპირობებული იყო ახალი სერვისების დამატებითა და სარეკლამო აქტივობების მკვეთრი ზრდით. 2020 წლის პირველ ნახევარში შემოსავლების ზრდა ნაწილობრივ შეაფერხა COVID 19-ით გამოწვეულმა ფინანსურმა კრიზისმა, თუმცა წლის მეორე ნახევარში მოხდა პოზიციების აღდგენა და კლიენტი კომპანიების პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით მეტად გააქტიურება.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს თანამშრომლების დაქირავებასა და სერვისების შესყიდვას მომსახურების გასაწევად. აღნიშნული პირდაპირი ხარჯების აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2019 წლების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
საკონსულტაციო ხარჯი	28,247	90,852
იჯარის ხარჯი	19,909	15,370
საბანკო ხარჯი	8,274	7,037
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	8,065	10,079
სხვა	13,280	31,140
სულ	77,775	154,478

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

2020 და 2019 წლების ხელფასებისა და სხვა სარგებელის გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2020	2019
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	55,282	214,729
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	391,322	529,418
სულ:	446,604	744,147

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 და 2019 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 55,282 ლარი და 214,729 ლარი შესაბამისად.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.